სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

81701712102526

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N260022908

რეგისტრაციის თარიღი

12.01.2026 წ

ნოტარიუსი: ლალი ჯანუყაშვილი
მისამართი: თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის ქ. 53ა, II სართული
ტელეფონი: 595477133

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ოცდაექვსი წლის თორმეტ იანვარს მე, ნოტარიუსს ლალი ჯანუყაშვილს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მირიან მეფის ქუჩა #53ა, მე-2 სართული, მომმართა შპს „ჯიდი+“ დირექტორმა (თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B19053871, 14/05/2019, საიდ. კოდი: 438731990) დირექტორმა შოთა ქუთათელაძემ (შემდგომში "მიმნდობი"), რომელმაც განაცხადა, რომ სურს, მინდობილობა შედგენა და მისი დამოწმდეს სანოტარო წესით.

მე დავადგინე მისი პირადობა და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად შოთა ქუთათელაძემ (დაბ.12.04.1972წ., პ/ნ 37001008060, რეგისტრირებული თბილისი მირიან მეფის ქ. N 77 ბ. 36) მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, გარიგების შინაარსი და შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი, მიმნდობმა წაიკითხა მინდობილობა და მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ წინამდებარე მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდგომ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, შპს „ჯიდი+“ (საიდ. კოდი: 438731990) დირექტორი შოთა ქუთათელაძე, შემდეგში „მიმნდობი", ვახტანგ ჭელიძეს (დაბ. 26/04/1959წელს, პ/ნ 01009001743), შემდეგში „მინდობილს“, ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებებს:

იყოს მიმნდობი პირის წარმომადგენელი შპს "ჯიდი +"-ის (ს/ნ 438731990) კუთვნილ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა #40, ს/კ 01.10.07.007.141, ადმინისტრაციულ ორგანოებში, იუსტიციის სახლში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, იყოს წარმომადგენელი ქალაქის მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, თბილისის მერიის ურბანულ სამსახურში, სსიპ ქონების მართვის სააგენტოში, თვითმმართველობის ორგანოებში, გამგეობაში, საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, სანოტარო ბიუროში, საამზომველო ფირმებში, მუნიციპალურ ინსპექციაში, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტროში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, შეათანხმოს კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმა, შეაგროვოს, ჩააბაროს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია/ ცნობები/ მოწმობები, ყველა პირისგან, დაწესებულებებისგან, წარმოადგინოს მიმნდობი პირის ინტერესები აზომვითი ნახაზის პროექტის შედგენისას, ჩაატაროს აზომვითი სამუშაოები, შეათანხმოს საპროექტო დოკუმენტაცია მერიის შესაბამის სამსახურთან, მიიღოს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება, ასევე მიიღოს მშენებლობის ნებართვა, აწარმოოს სამშენებლო სამუშაოები და მოახდინოს აშენებული ფართის ექსპლუატაციაში მიღება.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია 3 (სამ) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ლ. ჯანუყაშვილის სანოტარო ბიუროს არქივში. დანარჩენი გადაეცათ მხარეებს. წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მე, ნოტარიუსმა ლალი ჯანუყაშვილმა, მიმნდობმა მოიწონა მინდობილობა და პირადად ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი მას.

სანოტარო საზღაური: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების - "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლის თანახმად 30.00 ლარი, აგრეთვე 5.00 ლარი თანახმად ზემოაღნიშნული დადგენილების (№507, 29 დეკემბერი, 2011 წ.)39-ე მუხლის I პუნქტის და საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის შესაბამისად 5,40 ლარი.

მიმნდობი _____

ნოტარიუსი: ლალი ჯანუყაშვილი